



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისხატთა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ივლისის 31.

№ 18

თფილისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება.

109. საქართველოს სსრ შრომის წითელი
არმიის ორდენის დოკუმენტების გამოყენების
ან შესახებ.

110. სენაკის რაიონის მიხა ცხაკაიას რაიონად,
უკ სენაკის—ქალაქ მიხა ცხაკაიად, ხოლო
ის რაიონის გზის სადგურის—სადგურ მიხა
კაიად გადარქმევის შესახებ.

111. საქართველოს სსრ ზოგიერთ საქალაქო
ქოთან და ქალაქ ტფილისის სარაიონო სა-
ფებთან ბავშთა უპატრონობისა და უმეტეაღ-
რების წინააღმდეგ ბრძოლის სექციების
რსების შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ხ ე ბ ე.

2. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935
ს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატა-
ს შესახებ.

ვაკრობა. მომარაგება.

3. სხვაქალაქური სავაკრო ორგანიზაციე-
წარმომადგენელთა რეგისტრაციის შესახებ.

114. პურის, სიმინდის და მზეუჭვრითის სა-
კომუნალური და ინდივიდუალურ - საგლეხო
ვაკრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის და
„ზაგოტზერნოს“ მიერ მარცვლეულის და მზე-
უჭვრითის შესყიდვის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

115. სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფ-
ლებების თაობაზე გამოცემული დადგენილე-
ბისათვის 12¹ მუხლის დამატების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

116. პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრა-
ლური რესპუბლიკანური საბჭოს დებულების
დამტკიცების შესახებ.

დებულება პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენ-
ტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შესახებ.

სისხლის სამართალი.

117. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 70¹
მუხლის დამატების შესახებ.



საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენის დოკუმენტების გამოყენების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს.

დამყარებულ იქნას საქართველოს სსრ შრომის წითელი ორდენის საორდენო დოკუმენტების გამოყენების შემდეგი წესები:

I. საორდენო დოკუმენტების მოქმედების ვადა.

1. საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენის წიგნაკი უვადო
2. ორდენით გასაცემი ფულის მისაღებად დანიშნულ ფულად კუპონებზე დალა აქვს 1937 წლის დეკემბრის 31-მდე; ამ ვადის შემდეგ წიგნაკი უვადო გამოიცვალოს.

II. საორდენო დოკუმენტის გამოყენების წესი.

3. ორდენით დაჯილდოებულნი კუპონებით ფულის მისაღებად მიიმარჯებიან უახლოეს სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროებზე საცხოვრებელ ადგილის მიხედვით.

შენიშვნა. იმ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების კატეგორიებზე, რომლებიც საორდენო ფულის გაცემის ოპერაციებს აწარმოებენ, და აგრეთვე მათზე მიმარჯებისა და ფულის გაცემის წესს ამყარებს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველო.

4. ორდენით დაჯილდოებული პირის, ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისას, ახალ სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროზე მიმარჯება მოხდება წინანდელი საცხოვრებელი ადგილის შემნახველ სალაროსაგან მოხსნის შემდეგ.

5. ფულადი კუპონების წიგნაკით ფული მიეცემა მხოლოდ დაჯილდოებულ პირს, საორდენო წიგნაკის წარდგენისას.

ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში (ხანგრძლივი წარვლინება, ავადმყოფობა), რაც სათანადოდ დამოწმებულ უნდა იქნას, ფული შეიძლება მიიღოს სხვა პირს სათანადოდ გაფორმებული რწმუნებულობის მიხედვით და საორდენო წიგნაკის წარდგენისას.

6. ფული გასული დროისათვის გაიცემა დროის შეუზღუდავად.

ქალაქი
ვადაე
მთავალ

III. საორდენო დოკუმენტების დუბლიკატების გაცემა.

7. დაკარგული ან მოტაცებული საორდენო დოკუმენტების ნაცვლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო გაცემს ამ დოკუმენტების დუბლიკატებს:

ა) მარტო საორდენო წიგნაკის დაკარგვის შემთხვევაში—ერთი თვის შემდეგ დაჯილდოებული პირისაგან ამის შესახებ განცხადების მიღების დღიდან, უმეტი განცხადებაც დამოწმებულ უნდა იქნას ცნობით (ქვეითარით) დაკარგვის თაობაზე მომხდარი პუბლიკაციის შესახებ ან მილიციის ოქმით (უკეთესი დოკუმენტი მოტაცებულია);

ბ) ფულადი კუბონების დაკარგვის შემთხვევაში—სამი თვის შემდეგ დაჯილდოებული პირისაგან ამის შესახებ განცხადების მიღების დღიდან, იმ თვის უთვლელად, რა თვეშიაც განცხადება მიღებულ იქნა; ამასთანავე, განცხადება დამოწმებულ უნდა იქნას ამა მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად და ელემწიფო შრომითი შემნახველი სალაროს (მიმაგრების ადგილის კვალობაზე) ანაზღაურებით ფულადი კუბონების წიგნაკის დაკარგვის თაობაზე განცხადების მიღების შესახებ.

8. თუნდაც ერთი რომელიმე საორდენო დოკუმენტის დაკარგვის ან მოკლების შემთხვევაში სხვა დარჩენილი დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო—განმცხადებელის გვარის, სახელის და მამის სახელისა, აგრეთვე დაკარგული დოკუმენტის ნორმის (თუ იგი გამოაკვეთილია) აღნიშვნით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

35 წ. ივნისის 14. № 49.

ტფილისი.

110. დადგენილება ც.ა.კ.

012.3

ნაკის რაიონის მიხა ცხაკაიას რაიონად, ქალაქ სენაკის—ქალაქ მიხა ცხაკაიას, ხოლო სენაკის რაიონის გზის სადგურის—სადგურ მიხა ცხაკაიას გადაქმევის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: სენაკის რაიონს ეწოდოს მიხა ცხაკაიას რაიონი, ქალაქ სენაკს—ქალაქი ცხაკაია, ხოლო სენაკის რაიონის გზის სადგურს სადგური—მიხა ცხაკაია.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

წ. ივნისის 17, № 53.

ტფილისი.

044.1
212.3
 ქ. თბილისი
 № 111. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ წოვიერთ საქალაქო საბჭოსთან და ქალაქ ტფილისის სა-
 რაიონო საბჭოებთან ბავშთა უპატრონობისა და უმეტვალყურეობის წინააღ-
 მდეგ ბრძოლის სექციების დაარსების შესახებ.

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მაისის 31-ის დადგენილების საფუძველზე ბავშთა უპატრონობისა და უმეტვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ დაარსებულ იქნას ტფილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის და სოხუმის საქალაქო საბჭოებთან და ქალ. ტფილისის სარაიონო საბჭოებთან სექციები ბავშთა უპატრონობისა და უმეტვალყურეობასთან ბრძოლისათვის.

2. აღნიშნული სექციები უნდა მოწყობილ იქნას საქალაქო და სარაიონო საბჭოების სექციებისათვის შემოღებული საერთო წესისამებრ. მათი მოწყობა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ა. წ. ივლისის 1-ისა.

3. დაევალოს ბავშთა უპატრონობისა და უმეტვალყურეობასთან ბრძოლის სექციებს:

ა) ბავშთა სახლების და საშრომო კოლონიების მუშაობისათვის ხელისშეწყობა;

ბ) ობოლი ბავშვების მოწყობისა და უზრუნველყოფის საქმისათვის დახმარება (მეურვეების დანიშვნა, საბავშვო სახლში, წარმოებაში, კოლმეურნეობაში გაგზავნა და სხვ.);

გ) ქუჩაში ბავშთა და მოზარდთა ხულიგნობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლისათვის საწარმოების, დაწესებულებების, საბინაო ამხანაგობების და სხვა ორგანიზაციების საზოგადოებრიობის დარაზმვა.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1935 წ. ივნისის 14. № 52.
 ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 145 №-ში 1935 წ. ივნისის 23.

112. დადგენილება ს.კ.ს

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

„1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის მაისის 31-ის დადგენილების საფუძველზე (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 30, მუხ. 232; სსრკ-ის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის „იზვესტია“ № 127 1935 წ. ივნისის 1-ისა) და „ა/კსფსრ-ში 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების წესის შესახებ“ გამოცემული, ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ივნისის 5-ის დადგენილების შესაბამისად (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 129 1935 წ. ივნისის 5-ისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

ვანგრძობილ იქნას 1935 წლისათვის მოქმედება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ივნისის 15-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 15, მუხ. 139; № 25, მუხ. 196; № 31, მუხ. 236; № 33, მუხ. 247) შემდეგ მუხლებში აღნიშნული ცვლილებებით.

I.

კოლმეურნეობებისათვის დატოვებულ იქნას 1935 წელს უცვლელად გადასახადის ზანაკვეთები ნათესისა და ნარგავის ერთ ჰექტარზე საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში და საქართველოს სსრ-ის რაიონებში და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათები, რაც 1934 წელს მოქმედობდა, გარდა იმ შეღავათისა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემოაღნიშნული 1934 წლის ივნისის 15-ის დადგენილების 23 მუხლით.

II.

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი კოლმეურნეთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრაში:

1. დაწესებულ იქნას კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, რომელთაც აქვთ განუსაზოგადოებელი სოფლის მეურნეობის (ბოსტნის, ბალის, ვენახის და სხვ.)

შემოსავალი, დართული ცხრილით გათვალისწინებული გადასახადის თები (იხ. დანართი 1).

2. ამ განაკვეთების ფარგლებში:

ა) საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ გადასახადის საშუალო განაკვეთებს ცალკეული რაიონებისათვის;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ გადასახადის განაკვეთებს ცალკეული სოფლებისათვის, ხოლო საჭირო შემთხვევაში—ცალკეული კოლმეურნეობებისათვისაც; ამასთანავე, კოლმეურნეობის ფარგლებში კოლმეურნეთა ცალკეული მეურნეობებისათვის სხვადასხვა განაკვეთების დაწესება არ შეიძლება.

3. კოლმეურნეთა მეურნეობებს, რომელთაც განუსაზოვადოებელი სოფლის მეურნეობის შემოსავალთან ერთად აქვთ მუდმივი შემოსავალი არაკოოპერირებულ საშინამრეწველო-სახელოსნო საიწეწავისაგან, გადასახადის განაკვეთი (3. „ა“) გაუდიდდებათ 40—50%-ით რაიონის და რეწაობის სახის მიხედვით, თანხმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებისა.

შენიშვნა. უკეთუ საშინამრეწველო-სახელოსნო რეწაობას შემთხვევითი ხასიათი აქვს და მისი შემოსავალი უმნიშვნელოა, კოლმეურნის ასეთ მეურნეობას გადასახადის განაკვეთი არ გაუდიდდება.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, კოლმეურნეთა მეურნეობების აღრიცხვის ჩატარების შემდეგ, ხოლო არა უგვიანეს 1935 წლის ივლისის 15-ისა, წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებული პროექტი დადგენილებისა წინა მუხლში აღნიშნული კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის გადიდების რაოდენობის შესახებ ცალკეული რაიონების და რეწაობის სახის მიხედვით; ამასთანავე, გაითვალისწინოს ამ დადგენილებაში ცალკეული რაიონები და ცალკეული სარეწაოები, რომელთა მიმართ გადასახადის განაკვეთის შემოაღნიშნული გადიდება შეფარდებულ არ უნდა იქნას.

III.

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრაში:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემაჯავლი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის და საქართველოს სსრ-ის რაიონებისათვის ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობათა შემოსავლიანობის ნორმები, რაც გათვალისწინებულია ამასთანავე დართულ ცხრილში (იხ. დანართი 2).

2. ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობის მიერ მისთვის დაწესებული 1934 წლის საშემოდგომო თესვის და 1935 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმების ზედმეტად დათესილი ყველა ფართობის დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვროს შემოსავლიანობის ნახევარი ნორმების ანგარიშით.

3. ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობებში გადასახადით დაიბეგროს ცხენი, ხარი, კამეჩი, ვირი და ჯორი სამი წლიდან.

4. ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობათა არასამიწათმოქმედო საშოვარიდან დასაბეგრ შემოსავალში ჩაირიცხება, ძირითადი საწარმოო ხარჯების (ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის, სათბობი მასალის, ფურაჟის და სხვ.) გამოკლების შემდეგ:

ა) საშინამრეწველო-სახელოსნო სარეწაოების აღრიცხული შემოსავლის 50%;

ბ) გადაზიდვა-გადაყვანის რეწაობის და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვარის აღრიცხული შემოსავლის 60%;

გ) სადგომების გაქირავების აღრიცხული შემოსავლის 50%—ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბაშკირეთის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, გურჯაანის, თიანეთის, კასპის, ლუქსემბურგის, მარტვილის, სავარჯოს, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, წალკის და ხობის რაიონებში, და 70%—დანარჩენ რაიონებში და საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემაჯავლ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში;

დ) წისკვილის აღრიცხული შემოსავლის 100%;

ე) ხე-ტყის დამზადებაზე (ხე-ტყის დამუშავება, გამოზიდვა, ჩამოტივტივება და სხვ.) და ტორფის დამუშავებაზე მუშაობის აღრიცხული შემოსავლის 20%.

შენიშვნა. 1. თვითეული ერთპიროვნული მეურნეობის არასამიწათმოქმედო საშოვარის რაოდენობას განსაზღვრავს სასოფლო საბჭო და დამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

№ 18
საქართველოს
საგარეო ურთიერთ-
ობის მინისტრის
კანცელარია

შენიშვნა 2. საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ შეამცირონ ცალკეული რაიონებისა და სასოფლო საბჭოებისათვის სადგომების გაქირავების შემოსავლის დაბეგვრის ზემოაღნიშნული რაოდენობა, ხოლო ისე, რომ ეს რაოდენობა გაქირავებით მიღებული აღრიცხვის შემოსავლის 50%-ზე ნაკლები არ იყოს.

5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე გაყიდვით მიღებული შემოსავალი ჩაირიცხება ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში შემდეგი რაოდენობით:

ა) მეურნეობაში საბაზრო შემოსავლის აღრიცხული თანხის 50%-ის რაოდენობით—აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარის ტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში და აბაშის, აღიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშვიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, თიანეთის, ლანჩხუთის, მარტვილის, მახარაძის, ონის, ტყიბულის, ფოთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალკის, წალენჯიხის, კითათურის, ხობის, ხორავოლუის რაიონებში;

ბ) მეურნეობაში საბაზრო შემოსავლის აღრიცხული თანხის 55%-ის რაოდენობით—აღმულახის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, ლაგოდეხის, ლუქსემბურგის, სენაკის, სიღნაღის, ყარაიას, ყვარლის და ხონის რაიონებში;

გ) მეურნეობაში საბაზრო შემოსავლის აღრიცხული თანხის 60%-ის რაოდენობით—გორის, გურჯაანის, კასპის, საგარეჯოს, სამტრედიის, ტუილისის, ქუთაისის და ხაშურის რაიონებში.

6. მშრომელი მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა	მეურნეობის გადასახადის რაოდენობა
100 მანეთამდე	15 მან.
101—125 მან.	17 მან.
126—150 მან.	20 მან.
151—175 მან.	24 მან.
176—200 მან.	28 მან.
201—225 მან.	32 მან.
226—250 მან.	36 მან.
251—275 მან.	40 მან.
276—300 მან.	44 მან.
301—325 მან.	48 მან.
326—350 მან.	52 მან.

351—375 მან.	56 მან.
376—400 მან.	60 მან.
401—425 მან.	66 მან.
426—450 მან.	73 მან.
451—475 მან.	81 მან.
476—500 მან.	89 მან.
501—525 მან.	97 მან.
526—550 მან.	105 მან.
551—575 მან.	113 მან.
576—600 მან.	121 მან.
601—625 მან.	129 მან.
626—650 მან.	137 მან.
651—675 მან.	145 მან.
676—700 მან.	154 მან.
701—725 მან.	164 მან.
726—750 მან.	174 მან.
751—775 მან.	185 მან.
776—800 მან.	196 მან.

801—1.000 მან. 200 მან.	+40 კაბ.	800 მანეთზე მეტი შემოსავლის თვითეთული მანეთიდან.
1.000—2.000 მან. 280 მან.	+44 კაბ.	1.000 მან. მეტი შემოსავლის თვითეთულ მანეთიდან.
2.000—3.000 მან. 720 მან.	+43 კაბ.	2.000 მან. მეტი შემოსავლის თვითეთულ მანეთიდან.
3.000 მანეთზე მეტი 1.200 მან.	+55 კაბ.	3.000 მანეთზე მეტი შემოსავლის თვითეთულ მანეთიდან.

ერთპიროვნულ მეურნეობათა გადასახადის განაკვეთი ყველა შემთხვევაში უნდა აღემატებოდეს განსაზღვრულ ადგილას კოლმეურნეებისათვის დაწესებულ განაკვეთს არა ნაკლებ, ვიდრე 25%-ით.

7. ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობას, რომელსაც თავის შედგენილობაში ჰყავს არა უმეტეს ორი შრომაუნარიანი წევრისა, ეძლევა შემდეგი შეღავათი ოჯახის შრომისუნარმოკლებულ წევრებზე:

ა) როდესაც მეურნეობაში სამი შრომის უნარმოკლებული წევრია, გამოანგარიშებული გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 10%-ით;

ბ) როდესაც მეურნეობაში ოთხი ან მეტი შრომის უნარმოკლებული წევრია, გამოანგარიშებული გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 20%-ით.

ასაკი, რომელიც იძლევა შეღავათის მიღების უფლებას შრომის უნარიანობის გამო, დაწესებულია: მამაკაცისათვის—16 წლამდე და 60 წელზე მეტი, ქალისათვის—16 წლამდე და 55 წელზე მეტი.

8. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, სასოფლო საბჭოს მიერ დადგენილი სიის მიხედვით, შეუძლია სრულიად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს გადასახადისაგან მცირეძალოვნობის გამო ის ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობა, რომელსაც არა ჰყავს ოჯახის შრომისუნარიანი წევრი, უკეთეს ამასთანავე ამ მეურნეობაში არ არის მსხვილფეხა პირუტყვი.

9. განთავისუფლდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ერთპიროვნული გლეხთა მეურნეობა, რომლის მეთაური (ძირითადი შრომაუნარიანი მომუშავე) გადავიდა მუშად საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოდ შრომის ხელშეკრულებით, ხოლო ამ ერთპიროვნული მეურნეობის დანარჩენმა შრომაუნარიანმა მომუშავეებმა დასდევს შრომის ხელშეკრულება საბჭოთა მეურნეობასთან სასეზონო მუშაობისათვის.

ეს შეღავათი ეძლევა მხოლოდ იმ მეურნეობებს, რომელნიც საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ გადასვლის გამო არ იღებენ საგეგმო დავალებას თესვის დარგში და განთავისუფლებული არიან სახელმწიფოსათვის მარცვლის, მხესუმზირის, კარტოფილის და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარებისაგან.

10. ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობები, რომელნიც კოლმეურნეობაში შევიდნენ განსაზღვრულ სოფელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის პირველი ვადის დადგომამდე, დაიბეგრებიან ამ გადასახადით, როგორც კოლმეურნეები.

IV.

კულაკური მეურნეობები დაიბეგრებიან იმ წესით და იმ განაკვეთებით, რაც დაწესებულია „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ივნისის 15-ის დადგენილების მე-V კარით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 15, მუხ. 139; № 31, მუხ. 206).

V.

კოლმეურნეობებსა, კოლმეურნეთა მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობებში განთავისუფლებულ იქნას 1935 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

ა) ბრინჯის ნათესი;

ბ) დაფნის ფოთლის დამზადებით მიღებული შემოსავალი.

VI.

გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1934 წლის ივნისის 15-ის დადგენილების 23 მუხლი, 38 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ პუნქტები, 78 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ პუნქტები, 80 და 87 მუხლები.

VII.

დატოვებულ იქნას 1935 წლისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1934 წლის ივნისის 15-ის დადგენილებით დაწესებული ვადები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისა.



VIII.

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას 10 დღის ვადაზე წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობის იმ ცვლილებათა შესახებ, რაც ამ დადგენილებიდან გამომდინარეობს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. ივნისის 8. № 731.

ტფილისი.

დანართი 1-

კადასახადის განაკვეთები იმ კოლმეურნეთათვის, რომელთაც აქვთ განუხაზოგადოებელი სასოფლო მეურნეობა

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რაიონების დასახელება.	განაკვეთი ერთი კოლმეურნის მეურნეობ.
1. აფხაზეთის ავტ. სსრ., აჭარისტანის ავტ. სსრ. და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	22 მან.
2. ადიგენისა, ასპინძისა, ახალქალაქისა, ახალციხისა, ბაშკიჩეთისა, ბოგდანოვკისა, დუშეთისა, თიანეთისა, ტყიბულისა, ფოთისა ქვემო-სვანეთისა, ყაზბეგისა, ჩოხატაურისა, ჩხარისა, ჩხოროწყუს, ცაგერისა, ჭიათურისა, ხორაგოულისა.	17 მან.
3. აბაშისა, ამბროლაურისა, ბორჯომისა, ვანისა, ლანჩხუთისა, მარტვილისა, მახარაძისა, ონისა, ქუთაისისა, წალენჯიხისა, წალკისა	22 მან.
4. აღბულახ-მანგლისისა, ბაღდადისა, ბორჩალოს გორისა, გურჯაანისა, ზესტაფონისა, ზუგდიდისა, თელავისა, კასპისა, ლაგოდეხისა, ლუქსემბურგისა, საგარეჯოს, სამტრედიისა, სენაკისა, სიღნაღისა, ტფილისისა, ყარაიის, ყვარლისა, ხაშურისა, ხობისა, ხონისა	25 მან.

ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების შემოსავლიანობის ნორმები

ავტ. რესპუბლიკების, ოლქის და რაიონების დასახელება.	მარცვლეული და პარკოვანი	ბოსტანი და ბაღრა	კარტოფილი	ვენახი	ბალი და ხმელი	სათიბი	თამბაქო	ბამბა	ოთხეუბა რქოს, საქონარი და კამეჩი.	ცხენი	ვირი	ცხვარი, თხა
1. აბაშის	91	557	—	705	702	—	325	69	66	73		
2. ადიგენის	77	447	190	—	771	20	477	50	51	89		
3. ამბროლაურის	86	507	110	805	702	16	—	69	64	84		
4. ასპინძის	66	447	220	—	771	20	477	50	51	89		
5. ალბულაბ-მანგლისის	80	766	290	1115	788	34	—	104	70	94		
6. ახალქალაქის	100	447	290	—	685	31	—	50	51	84		
7. ახალციხის	96	508	320	—	875	20	477	50	51	89		
8. ბაღდადის	70	557	170	1095	616	16	477	69	66	84		
9. ბაშკინეთის	85	407	250	495	616	28	—	98	70	94		
10. ბოგდანოვკის	92	407	250	—	—	31	—	102	77	126		
11. ბორჩალოს	102	887	240	985	702	34	572	81	70	94		
12. ბორჯომის	82	608	320	765	702	25	—	102	65	85		
13. გორის	87	659	220	765	930	25	—	89	65	84		
14. გურჯაანის	89	791	190	1125	702	29	517	89	75	100		
15. დუშეთის	70	600	190	765	788	48	—	70	75	94		
16. ვანის	116	613	190	825	875	16	—	69	66	84		
17. ზემო-სვანეთის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—		
18. ზესტაფონის	64	557	—	1095	702	16	—	69	66	84		
19. ზუგდიდის	88	557	—	705	702	16	325	69	66	78		
20. თელავის	75	757	190	1005	787	30	—	90	75	100		
21. თიანეთის	73	507	210	545	616	20	—	81	70	94		
22. კასპის	83	669	220	765	865	25	—	88	65	84		
23. ლაგოდეხის	130	851	170	995	702	29	670	81	75	100		
24. ლანჩხუთის	103	557	170	585	702	16	—	69	52	73		
25. ლუქსემბურგის	95	815	320	1325	616	28	—	81	70	94		
26. მარტვილის	91	507	—	545	564	16	325	69	66	73		
27. მახარაძის	103	557	140	585	633	16	—	69	52	73		
28. ონის	74	507	210	645	564	16	—	69	66	84		
29. საგარეჯოს	97	730	190	985	702	23	—	93	70	94		
30. სამტრედიის	89	890	—	585	865	16	325	69	66	84		
31. სენაკის	85	557	—	645	633	16	—	69	66	73		



ავტ. რესპუბლიკების, ავტ. ოლქის და რაიონების და-სახელება.	მარტველელი და პარკოსანი	ბოსტანი და ბაღა.	კარტოფილი	ვენახი	ბალი და ხშილი	სათიბი	თამბაქო	ბამბა	ოთხფეხა რქოს, საქონ.	ხარი და კამეჩი	ცხენი	ვირი	ცხვარი თხა,
32. სიღნაღის	97	730	190	1005	633	29	603		90	73	100		
33. ტფილისის	96	781	240	1065	852	17	—		85	70	94		
34. ტყიბულის	63	507	160	545	702	—	—		69	66	84		
35. ფოთის	76	507	—	525	663	16	—		69	66	73		
36. ქვემო-სვანეთის	40	407	100	435	—	16	—		30	53	84		
37. ქუთაისის	68	730	170	825	865	16	—		69	53	84		
38. ყაზბეგის	52	—	170	—	—	19	—		81	65	94		
39. ყარაიას	95	887	270	1095	702	34	—		81	70	94		
40. ყვარლის	116	856	170	995	564	29	477		89	75	100		
41. ჩოხატაურის	65	457	170	525	719	16	280		69	62	73		
42. ჩხარის	64	557	—	915	702	16	—		69	65	84		
43. ჩხოროწყუს	78	507	—	645	594	16	263		69	66	79		
44. ცაგერის	77	507	—	875	616	16	—		69	66	87		
45. წალენჯიხის	74	507	—	645	702	16	322		72	66	78		
46. წალკის	87	400	290	—	—	25	477		96	66	94		
47. კიათურის	58	507	160	675	633	16	—		69	65	78		
48. ხაშურის	87	608	220	765	845	25	—		89	65	84		
49. ხობის	103	507	—	525	616	16	—		69	66	98		
50. ხონის	92	800	170	525	788	16	325		69	66	86		
51. ხორაგოულის	56	507	160	805	702	16	—		69	66	84		
52. აფხაზეთის ასსრ	79	800	140	585	735	25	613		69	66	84		
53. აჭარისტანის ასსრ . . .	62	603	160	585	702	16	455		50	51	73		
54. სამხრეთ-ოსეთის	72	559	290	655	845	23	—		81	62	84		
ხ უ ლ ხაქართველოს სსრ-ში	83	690	235	820	770	28	600	83	75	65	90	15	6

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 1935 წ. ივნისის 10.



მეზრობა. მომარაგება.

1935 წ. ივნისი 5-28 113. დადგენილება ს.კ.ს.

სხვაქალაქური სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა რეგისტრაციის შესახებ.

სხვაქალაქური სავაჭრო სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუდმივ წარმომადგენელთა საქმიანობისათვის სათანადო კონტროლის დაწესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სხვაქალაქური სავაჭრო სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთ, რომელნიც-კი ამა დადგენილების გამოცემის მომენტიდან საქართველოს სსრ ქალაქებში იქნებიან, დაარეგისტრონ არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 1-ისა თავიანთი დოკუმენტები.

2. დაარეგისტრირებულ უნდა იქნას აგრეთვე ყველა ახლად წარმოქმნილი წარმომადგენლობა და საქონლის შესასყიდად საქართველოს სსრ ქალაქებში დროებით მოსული წარმომადგენელი სხვაქალაქური ორგანიზაციისა.

3. სარეგისტრაციოდ წარდგენილ უნდა იქნას რწმუნებულობა ასლითურთ, ხოლო დროებით მოსულებმა, ამის გარდა, უნდა წარადგინონ საწარვლინებო მოწმობის ასლი.

4. რეგისტრაცია დაეკისროს სათანადო საქალაქო საბჭოებს.

5. აეკრძალოს ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებას და საწარმოს იქონიოს მოლაპარაკება 1-ლ მუხლში აღნიშნულ წარმომადგენლებთან, ხოლო სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას—მიიღოს ანგარიშების განაღდების მინდობილობა, უკეთუ ამ წარმომადგენლების დოკუმენტებს არ ექნებათ სათანადო საქალაქო საბჭოს რეგისტრაცია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. ივნისის 4. № 714

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 140 №-ში 1935 წ. ივნისის 17.

114. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

პურის, სიმინდის და მწეუჭვრიტის საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-სავლენო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის და „ზაგოტწერნოს“ მიერ მარცვლეულის და მწეუჭვრიტის შესყიდვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:



1. აიკრძალოს 1935 წ. ივლისის 1-დან საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე პურისა, სიმინდისა და მზეუჭვრიტის საკომლემურნეო და ინდივიდუალურ-სავაჭრო ვაჭრობა და აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციისა და „ზაგოტხერნოს“ მიერ მარცვლეულის და მზეუჭვრიტის შესყიდვა.

2. დადასტურებულ იქნას, რომ პურისა, სიმინდისა და მზეუჭვრიტის საკომლემურნეო და ინდივიდუალურ-სავაჭრო ვაჭრობა ნებადართევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთლად რესპუბლიკაში შესრულებულ იქნება მარცვლეულის ჩაბარებისათვის დადგენილი გეგმა, დაბრუნებულ იქნება სესხი, გადახდილ იქნება კოლექტიური მჭურნეობების მიერ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სამუშაო ნატურსასყიდელი, და აგრეთვე კოლექტიური მჭურნეობების მიერ დაგროვილი იქნება მთლად სათესლე და მინიშალური საფურაჟო ფონდები.

3. დაწესებულ იქნას, რომ კოოპერაციისა და „ზაგოტხერნო“-სათვის მარცვლეულის მიყიდვის ნება მიეცემა ობიექტულ კოლექტიურ მჭურნეობას ცალკე მას შემდეგ, რაც იგი შეასრულებს მარცვლეულის ჩაბარებისათვის დადგენილ გეგმას და დაბრუნებს სესხს, აგრეთვე მას შემდეგ, რაც იგი ჩააბარებს მარცვლეულს და მზეუჭვრიტს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის სამუშაო ნატურსასყიდლის წესით, სადგურის მიერ წარდგენილი ანგარიშების შესაბამისად.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მაგალობლიშვილი.

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის მდივანი ლ. ბერია.

1935 წ. ივნისის 23. № 848.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 146 №-ში. 1935 წ. ივნისის 24.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

115. დადგენილება ც.კ.პ. და ს.კ.ს.

სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების თაობაზე გამოცემული დადგენილებებისათვის 12¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აგვისტოს 4-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 21 №-ი, მუხ. 276) I კარს დამატოს 12¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„12¹. სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებები იმ სახლების მიმართ, რაც აგებულია თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის მარტის 25-ის დადგენილებისა სპეციალისტებისათვის სახლების აგების შესახებ (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 21 №-ი, მუხ. 128), მოწესრიგდება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ივლისის 27-ის დადგენილებით სპეციალისტთა სახლების სამმართველოს ორგანიზაციისა და ამ სახლებში ჩასახლებისა და მათი ექსპლოატაციის წესის შესახებ (სსრკ-ის კან. კრ. 1934 წ. 40 №-ი, მუხ. 314).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1935 წ. მაისის 21. № 13/657a.

ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

116. დადგენილება ც.ა.კ.

პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული, პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შესახებ.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წ. ნოემბრის 14-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული, პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20) გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1935 წ. ივნისის 14. № 50.

ტფილისი.



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. პროსტიტუციასთან ბრძოლისათვის საჭირო საქმიანობის გაერთიანებისა და კოორდინაციის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ეწყობა პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭო.

II. საბჭოს მიზნები და ამოცანები.

2. ცენტრალურ რესპუბლიკანურ საბჭოს ეკისრება შემდეგი ამოცანები:

ა) გააერთიანოს და წარმართოს ყველა იმ უწყებისა, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პროსტიტუციასთან ბრძოლას ეწევა;

ბ) შეისწავლოს სათანადო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მეშვეობით პროსტიტუციის გავრცელების ფორმები, პირობები და ოდენობა;

გ) შეიმუშაოს დეტალურად ღონისძიებანი პროსტიტუციის ძირითად მიზეზებთან ბრძოლისათვის;

დ) განიხილოს წინასწარ პროსტიტუციასთან ბრძოლის ყველა ღონისძიება, როგორც საადმინისტრაციო და საკანონმდებლო, ისე სადისპანსერო ხასიათისა, რასაც ამუშავებენ სათანადო დაწესებულებები და ორგანიზაციები;

ე) გაუწიოს დაწვრილებითი და გეგმიანი ინსტრუქტირება პროსტიტუციასთან ბრძოლის რაციონალურ ღონისძიებათა შესახებ ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელიც ებრძვის ამ ბოროტებას;

ვ) მობილიზებულყოს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ პროსტიტუციასთან ბრძოლისათვის გადადებული ყველა სახსარი მუშაობის გასაშლელად ამა დებულების საფუძველზე;

ზ) აწარმოოს მშრომელთა მასებს შორის, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს ამოცანების გეგმიანი პოპულარიზაცია;

თ) აწარმოოს სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით მშრომელთა შორის ფართო სასანიტარო-საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მუშაობა, რომელსაც მიზნად უნდა ჰქონდეს მშრომელთა ჰიგიენურად აღზრდა და მათ მიერ ქორწინებისა და ოჯახობრივი ურთიერთობის სფეროში ახალი პრინციპების შეთვისება (ლექცია, საუბარი, სასანიტარო წარმოდგენა და სხვა მისთ.);

ი) ხელი შეუწყოს სქესობრივი აღზრდის საკითხის სწორე და რაციონალურ დაყენებას ყველა საფეხურის სკოლაში;



კ) ხელი შეუწყოს ქალთა ეკონომიურად და უფლებრივად განთავსებას მონური მდგომარეობიდან-სოციალისტური მშენებლობის პროცესში სათანადო ორგანიზაციების საქმიანობის სტიმულირებით;

ლ) აწარმოოს ბრძოლა ქალთა უპატრონობასა და გაქირვებასთან—ჩვენი ქვეყნის მშენებლობის ყველა დარგში ქალთა ჩაბმით (კოლექტიურ მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ფაბრიკაში, ქარხანაში, პროფილაქტორიუმში და სხვა მისთ.), აგრეთვე დედობისა და ჩვილობის დაცვით, ქალთა შრომის დაცვით, ქალებისა და უპატრონო ბავშვებისათვის ახალი საინვალიდო სახლების მშენებლობისა და უკვე არსებული სახლების გაფართოებისათვის ხელისშეწყობით, საბჭოს საკუთარ წარმოებებში უპატრონო ქალებისათვის სხვადასხვა ხელშეწყობით შესწავლებით და სათანადო სამუშაოებზე წარგზავნით, რისთვისაც გამოთხოვნილ უნდა იქნას მათთვის პასპორტები;

მ) აწარმოოს უღმობელი და მკვდარი ბრძოლა პროსტიტუციის ყველა ხელისშეწყობთან—შუამავლებთან, ბუნავის პატრონებთან და სუტენერებთან—ზემოქმედების ყველა საადმინისტრაციო და სასამართლო ღონისძიების შეფარდებით;

ნ) მოაწყოს ვენერულ ავადმყოფობათა ხელმისაწვდენი და უფასო წამლობა—ვენერული დისპანსერებისა, პროფილაქტორიუმებისა, ვენერული კაბინეტებისა და სხვა მისთ. ქსელის გაძლიერებით.

III. საბჭოს შედგენილობა.

3. ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შედგენილობაში შედის შემდეგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი:

- 1) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა;
- 2) განათლების სახალხო კომისარიატისა;
- 3) სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა;
- 4) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა;
- 5) იუსტიციის სახალხო კომისარიატისა;
- 6) ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოსი საქართველოს სსრ-ში;
- 7) საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტპროპაგანდის განყოფილებისა;
- 8) სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა;
- 9) საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი;
- 10) „მედსანშრომის“ მომუშავეთა კავშირისა;
- 11) ტუილისის საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებისა;
- 12) ა/კ რკინის გზების სამმართველოს მედიკო-სანიტარული განყოფილებისა (საგზაო სასანიტ. განყოფ.);
- 13) ა/კ რკინის გზების სამმართველოსი;
- 14) ა/კ რკინის გზების მუშა-მომსახურეთა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი;
- 15) სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთავრის საზოგადოებისა;



16) კავშირის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო-სასანიტარო სამმართველოსი;

17) ვენეროლოგიისა და დერმატოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა;

18) რესპუბლიკის პროკურატურისა;

19) მილიციის რესპუბლიკანური სამმართველოსი;

20) სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბავშვო კომისიისა;

21) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებისა;

22) ტფილისის შრომის პროფილაქტორიუმისა;

23) ტფილისის საქალაქო საბჭოსთან არსებული მცირეწლოვანთა დაცვის კომისიისა.

4. ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს თავმჯდომარეა / სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი და მდივანი — საბჭოს მიერ მიწვეული პირი. საბჭო იყენებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის აპარატს; ამის გარდა, საქიროებისადამიხედვით სპეციალურად მიწვეულ შტატს.

5. საბჭოს საქმეთა უშუალო წარმართვისა და მისი დადგენილებების აღსრულებისათვის გამოიყოფა პრეზიდიუმი შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და საბჭოს სამი წევრი — ვენეროლოგიისა და დერმატოლოგიის ინსტიტუტის, ტფილისის საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების და სპეციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

6. საბჭოს სხდომები იმართება საქიროებისადამიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

7. უკეთეს საქირო იქნება, ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭო მოიწვევს გაფართოებულ სხდომას, რომელზედაც, წევრების გარდა, მიიწვევიან, სათანობრო ხმის უფლებით, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელიც, აგრეთვე ცალკეული პირნი, რომელთა მონაწილეობაც სასარგებლო იქნება პროსტიტუციასთან რაციონალური ბრძოლის საკითხების გადაწყვეტად.

IV. საბჭოს სახსარი.

8. საბჭოს სახსარს შეადგენს:

- ა) ბიუჯეტით გადაღებული ასიგნვი;
- ბ) საბჭოს მიერ ჩატარებული სხვადასხვა კამპანიით მიღებული შემოსავალი;
- გ) საბჭოს დამხმარე საწარმოთა შემოსავალი;
- დ) სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანარიცხები.



V. საბჭოს უფლებანი.

9. პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭო იურიდიული პირია და, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მას აქვს უფლება დასდევას ხელშეკრულებანი და გარიგებანი, შეიძინოს და გაასხვისოს, მოქმედი კანონების თანახმად, ქონება და აგრეთვე გასწავლოს და მზამარე საწარმოანი თავისი მუშაობის გასაშლელად (სასწავლო-საჩვენებლო სახელოსნოები, პროფილაქტორიუმები და სხვ.).

10. საბჭოს აქვს თავისი სახელწოდების ბეჭედი და შტამპი.

სისხლის სამართალი

117. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 70¹ მუხლის დამატების შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აპრილის 7-ის დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისათვის იმ მუხლის დამატების შესახებ, რომლითაც დაისჯება სახელმწიფო ხურდა ფულის გადაღობა და ამ ფულის საწარმოო მიზნებისათვის გამოყენება“ (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-19 №-ი, მუხ. 156), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 70¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„70¹. სახელმწიფო ლითონის ხურდა ფულის (ვერცხლის, ნიკელის, თითბრის და ბრინჯაოს) ზოდებად გადაღობა და აგრეთვე ამ ფულის სხვადასხვა ნაკეთობის გამოსაყვანად გამოყენება

თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე, ხურდა ფულის სათანადო ზოდებისა და ნაკეთობის კონფისკაციით;

ხოლო ამ ქმედობის ხელობის სახით ჩადენა—

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა, მსჯევარდადებულის მთელი ქონების კონფისკაციით“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ის საბჭოს თავმჯდომარის. მოადგ. ბ. მდივანი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტო.

1935 წ. ივნისის 14. № 47/759.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ „კომუნისტის“ 149 №-ში 1935 წ. ივნისის 28.

ფახი 40 კაბ.

გამომცემელი	საქ. სსრ ს. კ. ს-ის	1935 წ. № 35. პ/მ. რედაქტორი მ. გამრეკელი
	საქმ. მმართველობა	
ქალაქის ფორმატი	62X94 სანტი;	1 1/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას	1/VII;	ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VII; ტირაჟი 1.800
მთავლ. რწმ. ს.—№	3928.	საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შვევ. № 934